დამტკიცებულია
პრეზიდიუმის მიერ 21/07/2025 წ.

ვახტანგ მეიფარიანი

საქართველოს XXXVI ეროვნული ჩემპიონატის დებულება
2025-26 წლების სეზონი

თბილისი 2025

1. ეროვნული ჩემპიონატის მიზნები და ამოცანები

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (შემდგომში ჩემპიონატი) მიზნად ისახავს:
1.1 საქართველოში ხელბურთის შემდგომ განვითარებასა და პოპულარიზაციას.
1.2 მონაწილე სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლებას და პოტენციალის სრულ წარმოჩენას.
1.3 ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების კანდიდატების გამოვლენასა და მათ შემდგომ დაოსტატებას.
1.4 ევროპის საკლუბო ტურნირების 2025/26 წლების სეზონის პოტენციურ მონაწილეთა გამოვლენას.

2. ეროვნული ჩემპიონატის ზოგადი დებულებები

2.1 ჩემპიონატს ორგანიზებას უწევს, ხელმძღვანელობს და ატარებს საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის (შემდგომში სხეფ) საშეჯიბრო კომისია.
2.2 ჩემპიონატის დებულებასა და ჩატარების სისტემას ერთობლივად შეიმუშავებენ საშეჯიბრო და მეთოდური კომისიები.
2.3 ჩემპიონატის დებულება მტკიცდება სხეფ-ის პრეზიდიუმის მიერ.
2.4 საშეჯიბრო კომისია ჩემპიონატის მსვლელობისას წარმოადგენს სხეფ-ს, კომისიის წარმომადგენლები საკუთარი კომპენტენციის ფარგლებში იღებენ გადაწყვეტილებებს ყველა საკითხის ირგვლივ.
2.5 საშეჯიბრო კომისია ვალდებულია ჩემპიონატის თითოეული ტურის შემდგომ მოამზადოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.
2.6 მეთოდური კომისია ვალდებულია ჩემპიონატის ყველა ეტაპის შემდეგ მოამზადოს ანგარიში მონაწილე გუნდებში სპორტსმენების სპორტული ოსტატობის მდგომარეობის შესახებ.

3. გუნდების რეგისტრაციის პირობები

3.1. ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რეგისტრაციას უზრუნველყოფს საშეჯიბრო კომისია.
3.2 ჩემპიონატის დაწყებამდე 2 კვირით ადრე გუნდები/კლუბები ვალდებულნი არიან საშეჯიბრო კომისიაში წარმოადგინონ:

- გუნდის/კლუბის სრული დასახელება;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- გუნდის/კლუბის ხელმძღვანელის მონაცემები;
- საკონტაქტო პირის მონაცემები (ტელეფონი. ელექტრონული ფოსტა);
- გუნდის/კლუბის ოფიციალური ლოგო;
- ბანკის რეკვიზიტები;
- მოთამაშეების ფორმა N100 - ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის შესახებ.

3.3 თუ გუნდის/კლუბის რეგისტრაციის დროს, გააჩნია ფინანსური დავალიანება, ან დაკისრებული აქვს დისციპლინარული სახდელი, საშეჯიბრო კომისია, პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე, უფლებამოსილი არ არის დაარეგისტრიროს გუნდი/კლუბი.
3.5 ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვთ სხეფ-ში გაერთიანებულ ნებისმიერ რეგისტრირებულ წევრს, რომელიც აკმაყოფილებს ეროვნულ ჩემპიონატზე დაშვების კრიტერიუმებს.
3.6 ჩემპიონატში დაშვების კრიტერიუმები:

- სავარჯიშო დარბაზის მონაცემები

- ვარჯიშების და შეკრებების გრაფიკი
- 2027 წლიდან აუცილებელია ჰყავდეს მინიმუმ 1 სერტიფიცირებული მწვრთნელი, რომელსაც შეუძლია ეროვნული ჩემპიონატის თამაშის წარმართვა/ხელმძღვანელობა
- რეგულარულად მონაწილეობდეს სემინარებში
- მონაწილეობდეს ასაკობრივ ჩემპიონატებში (მინიმუმ 2 ასაკობრივი კატეგორია გოგონებსა ან ვაჟებში)
- ჩაატაროს კემპ(ებ)ი
- თამაშებზე მუდმივად გამოცხადდეს მოთამაშეთა მინიმალური დასაშვები რაოდენობით
- არ უნდა ჰქონდეს სადისციპლინო გადაცდომები
- უნდა იზიარებდეს და ახორციელებდეს სხეფ-ის მიერ მიღებულ ეთიკის კოდექსს

რომელიმე მონაცემის ცვლილების შემთხვევაში გუნდები/კლუბები ვალდებულნი არიან განახლებული ინფორმაცია მიაწოდონ საშეჯიბრო და მეთოდურ კომისიებს.

4. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

4.1. ჩემპიონატი გიამართება 2 ეტაპად.

4.2. ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ასპარეზობას იწყებს 35-ე ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო შედეგის მქონე ექვსი გუნდი/კლუბი.

4.3 ჩემპიონატის პირველი ეტაპი გაიმართება წრიული სისტემით, 2 წრედ (30 თამაში).

4.4 ჩემპიონატის მეორე ეტაპზე საუკეთესო შედეგის მქონე ოთხი (4) გუნდი ითამაშებს „ოთხთა ფინალს“:

- ½ ფინალები
- მატჩი მესამე ადგილისთვის
- ფინალი

4.4.1 ნახევარ (½) ფინალურ შეხვედრებში, პირველი ეტაპის პირველ ადგილზე გასული გუნდი შეხვდება, პირველი ეტაპის მეოთხე ადგილზე გასულ გუნდს, ხოლო მეორე ადგილზე გასული გუნდი - მესამე ადგილზე გასულს.

4.4.2 ოთხთა ფინალის თამაშებში გუნდები ერთხელ შეხვდებიან ერთმანეთს.

4.4.3 იმ შემთხვევაში თუ „ოთხთა ფინალის“ შეხვედრაში, დაფიქსირდა ფრე, გამარჯვებული გამოვლინდება შვიდ (7) მეტრიანი ტყორცნების მეშვეობით.

4.4.3.1 შვიდ (7) მეტრიანი ტყორცნების დაწყებამდე, თითოეულმა გუნდმა უნდა დაასახელოს 5 მოთამაშე. ამ მოთამაშეებმა თითო დარტყმა უნდა შეასრულონ რიგრიგობით მოწინააღმდეგე გუნდთან, მანამ სანამ არ გამოვლინდება გამარჯვებული. თითოეულ გუნდს შეუძლია თავად განსაზღვროს, რა თანმიმდევრობით შეასრულებენ ტყორცნებს მოთამაშეები.

4.4.3.2 მსაჯები ირჩევენ კარს, სადაც დარტყმები განხორციელდება. პირველი დამრტყმელი გუნდი განისაზღვრება კენჭისყრით, რომელიც მსაჯების მიერ ჩატარდება. მასში გამარჯვებულ გუნდს შეუძლია აირჩიოს, სურს თუ არა დარტყმის შესრულება პირველს ან ბოლოს.

4.4.3.3 თუ პირველ სერიაში გამარჯვებული ხუთ-ხუთ (5-5) დარტყმაზე ადრე გამოვლინდა, სერია წყდება. თუ პირველ სერიაში ანგარიში თანაბარია, ტყორცნები გაგრძელდება მანამ, სანამ გამარჯვებული არ გამოვლინდება. მეორე სერიაში ტყორცნას იწყებს მეორე გუნდი. კვლავ უნდა დასახელდეს ხუთი მოთამაშე, რომლებსაც აქვთ თამაშში მონაწილეობის უფლება (თავდაპირველად დასახელებული მოთამაშეების ხელახლა დასახელებაც შესაძლებელია).

4.4.3.4 იმ შემთხვევაში თუ პირველი ხუთი (5) ტყორცნის შემდგომ არ გამოვლინდა გამარჯვებული, სერია გაგრძელდება მანამ, სანამ ერთი გუნდი არ გაიტანს მეტოქეზე ერთით მეტ გოლს ტყორცნების თანაბარი რაოდენობის შესრულების შემდეგ.
4.4.3.5 ტყორცნების შესრულებისას, შესაბამისი მოედნის ნახევარზე მხოლოდ მტყორცნელ მოთამაშეს, მეკარეს და მსაჯებს შეუძლიათ შესვლა.
4.5 „ოთხთა ფინალის“ ფინალში გამარჯვებული გუნდი/კლუბი მოიპოვებს ჩემპიონის ტიტულს. ფინალში დამარცხებული გუნდი გახდება ვერცხლის პრიზიორი, ხოლო მესამე ადგილისთვის მატჩში გამარჯვებული გუნდი გახდება ბრინჯაოს პრიზიორი.
4.6 პირველ ეტაპის მეხუთე და მეექვსე ადგილზე გასული გუნდები, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე, შეურთდება იმ გუნდებს, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს მონაწილეობა მიიღონ 2026-27 წლების ეროვნულ ჩემპიონატში და წრიული სისტემით გაარკვევენ 2026-27 წლების ეროვნული ჩემპიონატის ორი გუნდის ვინაობას. (იხ. დანართი 1).
4.7 ჩემპიონატში ქულების დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: მოგება - 2 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა.
4.8 იმ შემთხვევაში როდესაც ეროვნულ ჩემპიონატში ორი ან მეტი გუნდი დააგროვებს თანაბარ ქულას, მათი საბოლოო პოზიციის გადანაწილება ცხრილში მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით და ქვემოთჩამოთვლილი თანმიმდევრობით:

- უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრებში ქულების რაოდენობა;
- უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრებში გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა;
- უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრებში მაქსიმალური გატანილი გოლების რაოდენობა;
- ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა;
- თუ ყველა ეს მაჩვენებელი ერთნაირია, უპირატესობა მიენიჭება კენჭისყრაში გამარჯვებულ გუნდს. კენჭისყრას ატარებს საშეჯიბრო კომისია, რომელსაც უნდა ესწრებოდეს აღნიშნული გუნდების/კლუბების წარმომადგენლები.

5 ჩემპიონატის ჩატარების პირობები

5.1 ჩემპიონატის დაწყებიდან 2 კვირით ადრე გუნდი/კლუბი ვალდებულია წარმოადგინოს ჩემპიონატის ძირითადი განაცხადის როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმა, რომელშიც ასახული იქნება - მაქსიმუმ 24, მინიმუმ 16 მოთამაშე.
5.2 კლუბის/გუნდის ჩემპიონატში მონაწილეობის ძირითად განაცხადში მითითებული მოთამაშეების ასაკი უნდა იყოს არანაკლებ 16 წლის (სეზონის დაწყების წლის 31 დეკემბრის მონაცემების მიხედვით). გამონაკლისი შემთხვევა/შემთხვევები შეიძლება დაიშვას მხოლოდ პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით (განიხილება ასაკობრივი ნაკრების წევრები).
5.3 ერთი კალენდარული დღის განმავლობაში მოთამაშეს ორი (2) სხვადასხვა ტურნირის თამაში ეკრძალება.
5.4 ტურის პირველ თამაშამდე მინიმუმ 24 საათით ადრე, გუნდმა/კლუბმა უნდა წარმოადგინოს ტურის განაცხადი, რომელშიც შეიძლება შეიყვანოს არა უმეტეს 18 მოთამაშისა - წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი თამაშზე არ დაიშვება.
5.5 ყოველი თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე გუნდი/კლუბი ვალდებულია წარმოადგინოს გუნდის/კლუბის შემადგენლობა - 16 მოთამაშე. შემადგენლობის შემდგომი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მოთელვის დროს რომელიმე მოთამაშის ტრავმის შემთხვევაში.

5.6 გუნდი/კლუბი ვალდებულია თამაშზე წარსდგეს მინიმუმ 1 ოფიციალური პირით, წინააღმდეგ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება იგივე სანქცია, როგორიც მოქმედებს მატჩზე არ გამოცხადების შემთხვევაში.
5.7 როგორც წესი, ტექნიკურ განაცხადში შეყვანილი სპორტსმენების სათამაშო ნომრები უნდა ემთხვეოდეს სეზონის წინ, სხეფ-ში გუნდების/კლუბების მიერ წარმოდგენილ ძირითად განაცხადში მითითებულ სათამაშო ნომრებს.
5.8 მოთამაშეებს უფლება აქვთ შეხვედრაზე წარსდგნენ სხვა ნომრით გარდა განაცხადში მითითებულისა, თუ არსებობს შესაბამისი ობიექტური მიზეზ(ებ)ი (ახალი ფორმის შეძენა, წინა ფორმის დაზიანება და ა.შ).
5.9 ჩემპიონატის დაწყებამდე 10 დღით ადრე საშეჯიბრო კომისია წარმოადგენს ჩემპიონატის მომსახურე პერსონალის სიას, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.
5.10 ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმი ჩემპიონატის დაწყებამდე 10 დღით ადრე ამტკიცებს ჩემპიონატის მომსახურე პერსონალის რეესტრს (მსაჯების, დელეგატების, დამკვირვებლების, სხეფ-ის წარმომადგენლის, ტაიმკიპერის, მდივნის სიას).
5.11 მატჩის მომსახურე მსაჯებს განსაზღვრავს საშეჯიბრო კომისია, ხოლო დელეგატების შერჩევა მოხდება ლოტოტრონის პრინციპით.
5.12 როგორც წესი მატჩს ემსახურება არანაკლებ ერთი ოფიციალური პირი (დელეგატი).
5.13 მსაჯთა მიერ გაწეულ სამუშაოს აფასებს სპეციალური ჯგუფი, ქულათა სისტემით.
5.14 მატჩის ოქმს თამაშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე ხელს აწერენ გუნდების ოფიციალური (A) პირები, მატჩის დასრულების შემდგომ მსაჯები, მსაჯების შემდეგ კი მას ამოწმებს და ადასტურებს ხელმოწერით მატჩის დელეგატი. ოქმში მითითებული უნდა იყოს ოფიციალური პირები - არა უმეტეს 4 პირისა. მოედანზე და სათადარიგო სკამზე, გუნდის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 ადამიანს.
5.15 სათანადოდ შევსებულ და ხელმოწერილ ოქმში დაუშვებელია ცვლილების შეტანა.
5.16 მატჩის ოქმის სისწორეზე პასუხისმგებელია მატჩის დელეგატი.
5.17 მატჩის დაწყების ადგილს და ვადებს სხეფ-ის საშეჯიბრო კომისია ატყობინებს მონაწილეებს ჩატარებამდე არა ნაკლებ 14 დღით ადრე, მატჩის ჩატარების დროს მატჩის ჩატარებამდე 5 დღით ადრე.
5.18 მატჩის მომსახურე ოფიციალური პირების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ფორსმაჟორული პირობების შექმნის შემთხვევაში.
5.19 განსაკუთრებულ შემთხვევაში სხეფ-ის საშეჯიბრო კომისიას, მატჩის დაწყებამდე 5 დღით ადრე, ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მატჩის თარიღისა და დროის შეცვლის შესახებ.
5.20 კალენდარულ მატჩზე მითითებულ დროზე რომელიმე გუნდის/კლუბის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოწინააღმდეგე გუნდი/კლუბი და მსაჯი ვალდებულნი არიან, თამაშის დაწყების დროიდან 20 წუთის შემდეგ გავიდნენ მოედანზე და დააფიქსირონ თამაშისთვის მზადყოფნა. გუნდს გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დამნაშავე გუნდს ავტომატურად უფიქსირდება მარცხი (ანგარიშით 0:10) (გამარჯვებულს +2 ქულა) და ექვემდებარება სადისციპლინო სანქციას. გუნდს/ კლუბს აქვს უფლება გაასაჩივროს გადაწყვეტილება, მოითხოვოს მატჩის გადადება და სანქციების გაუქმება.
5.21 დაწყებული მატჩის შეწყვეტა და გადატანა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფორსმაჟორული მდგომარეობისას ან სხვა მატჩის

ჩატარების შეუძლებლობის (ტექნიკური ან სხვა ობიექტური მიზეზი) შემთხვევაში, რომლის წინასწარი განსაზღვრაც შუძლებელია.
5.22 თუ მატჩი შეწყდა 5.21 პუნქტში ნახსენები მდგომარეობების გამო, მატჩი გაიმართება იმ გონივრულ ვადაში, რომლის დროსაც საფრთხე არ შეექმნებათ ხელბურთელების ჯანმრთელობას.
5.23 შეწყვეტილი მატჩი გრძელდება იმ ანგარიშის, დროის და სადისციპლინო მონაცემების გათვალისწინებით, რომელიც ფიქსირდებოდა მატჩის შეწყვეტის მომენტში, დელეგატისა და მსაჯების მიერ ხელმოწერილ ოქმში.
5.24 შეხვედრის დროს, შეხვედრაში მონაწილე სუბიექტებს შორის წარმოქნილ სპორტულ დავებსა თუ დისციპლინარულ გადაცდომებს დელეგატი აფიქსირებს დაუყოვნებლივ (დელეგატის არ ყოფნის შემთხვევაში მსაჯები). საშეჯიბრო კომისია კი თავის მხრივ სათამაშო დღის ბოლომდე ატყობინებს სადისციპლინო კომისიას.
5.25 გუნდს/კლუბს უფლება აქვს გამოხატოს წერილობითი პროტესტი, მატჩთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე, გარდა მსაჯის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა. პროტესტის გამოსახატად გუნდის/კლუბის წარმომადგენელი თამაშის დასრულების შემდგომ 1 საათის განმავლობაში წარადგენს წერილობით პროტესტს.
პროტესტი დაუშვებელია: თამაშის დროზე, თარიღზე, ადგილზე, მსაჯების და დელეგატების დანიშვნაზე, ხოლო ასევე მსაჯის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.
5.26 პროტესტი უნდა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით, პროტესტის წარმოდგენის შემთხვევაში გუნდმა/კლუბმა უნდა გადაიხადოს მოსაკრებელი, 100 ლარის ოდენობით ფედერაციის ანგარიშზე.
5.27 სადისციპლინო კომისიის მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს პრეზიდიუმში, სადისციპლინო დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.
5.28 თუ გუნდის პროტესტი დაკმაყოფილდა ნებისმიერ საფეხურზე თანხა სრულად უბრუნდება კლუბს, სხვა შემთხვევაში თანხა დაბრუნებას ან შემცირებას არ ექვემდებარება.
5.29 შეხვედრაში მონაწილე პირები მსაჯის სანქციებს ექვემდებარებიან შეხვედრის დაწყებამდე, შეხვედრის დროს და შეხვედრის დასრულების შემდგომ, იმ პერიოდშიც კი, როდესაც არ იმყოფებიან სათამაშო მოედანზე (მაგ: თამაშის წინ - მოთელვის დროს, თამაშის შემდეგ - გასახდელებში შესვლამდე, დარბაზის გარეთ და სხვა).
5.30 ექსტრემალური არასპორტული საქციელისა (პუნქტი:8.10ა) და განსაკუთრებული სპორტული უხეშობის (IHF თამაშის წესები პუნქტი 8.5: ა,ბ,გ) გამო, ან ლურჯი ბარათის ჩვენების გზით გაძევებული სპორტსმენი/ოფიციალური პირი ავტომატურად ტოვებს მინიმუმ ერთ (1) მატჩს.
5.30.1 განსაკუთრებული სპორტული უხეშობა - მოთამაშე, რომელიც შედის მოწინააღმდეგესთან ფიზიკურ კონტაქტში იმგვარად, რომ საფრთხის წინაშე აყენებს მის ჯანმრთელობას:

a) მოწინააღმდეგე არ ელოდებოდა კონტაქტს და მოწყვეტილი იყო თავის დაცვის უნარს.
b) მოწინააღმდეგე კარგავს სხეულზე კონტროლს სირბილის, ნახტომის ან დარტყმის დროს.
c) მოწინააღმდეგესთან აგრესიული ფიზიკური კონტაქტის დროს ურტყამს სახის, ყელის ან კისრის არეში.

5.31 სადისციპლინო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება დამრღვევი მოთამაშის სანქცირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს დარღვევიდან არაუმეტეს ერთი დღის ვადაში. აღნიშნული სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურ რეჟიმში.

5.32 ტურის დაწყების წინ ტარდება ტექნიკური შეხვედრა, რომელზეც დასწრება სავალდებულოა მატჩის მონაწილე ყველა მხარისთვის. საშეჯიბრო კომისიის გადაწყვეტილებით შეხვედრა შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურ რეჟიმში. თათბირზე გუნდები ვალდებული არიან წარადგინონ თამაშის/ტურის განაცხადი და სათამაშო მაისურების 2 კომპლექტი. აქვე დგინდება სათამაშო ფორმის ფერები და სხვა საორგანიზაციო საკითხები.
5.33 თამაშის წინ სავალდებულოა გუნდების/კლუბების ფორმალური მისალმება.
5.34 ჩემპიონატის შეხვედრებში დასაშვებია მხოლოდ სხეფ-ის, ეხფ-სა და სხფ-ს მიერ აღიარებული და ავტორიზებული ბურთების გამოყენება.
5.35 ჩემპიონატის ყოველი მატჩისა და მოთელვის დროს მოედანთან რაც შეიძლება ახლოს უნდა იმყოფებოდეს პირველადი სამედიცინო დახმარების სერთიფიცირებული პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინვენტარით (დამტკიცებულს სხეფ-ში დასაქმებული შესაბამისი კომპეტენტური პირის მიერ) და საჭიროების შემთხვევაში გამოიძახებს სასწრაფო დახმარების ბრიგადას.
5.36 ჩემპიონატის ორგანიზატორი არ არის პასუხისმგებელი გუნდების წევრთა და წარმომადგენელთა ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის შემთხვევაში.
5.37 საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების ყველა საორგანიზაციო ხარჯს - დარბაზების იჯარა, მსაჯების და დელეგატის, მატჩის მომსახურე პერსონალის ანაზღაურება, მივლინება, გუნდების დაჯილდოების და სხვა, გაიღებს სხეფ.
5.38 ჩემპიონატის გუნდს/კლუბს უფლება აქვს ჩემპიონატის მიმდინარეობისას ერთხელ, მოითხოვოს ჩემპიონატის მატჩის/მატჩების მისთვის სასურველ დარბაზში ჩატარება, რის შემთხვევაშიც იგი ვალდებული იქნება დაფაროს დარბაზის იჯარა და სხვა მასპინძლობის ხარჯები, თუ ორ გუნდს/კლუბს შორის სხვა შეთანხმება არ არის. (მსაჯების, დელეგატების და მატჩის სხვა მომსახურე პერსონალის მივლინების ხარჯებს დაფარავს სხეფ-ი).

6 მოთამაშეთა თამაშებზე დაშვება და ტრანსფერი

6.1 მოთამაშეთა თამაშებზე დაშვებასთან და ტრანსფერებთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება შემდეგი დებულებებით:

- სხეფ-ის ხელბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულება.
- საქართველოს ჩემპიონატის გათამაშებაში ხელბურთელთა დაშვებისა და სპორტსმენთა ერთი გუნდიდან მეორე გუნდში გადასვლის დებულება.
- განათლების კომპენსაციის დებულება.

7 ჩემპიონატის გასამართი დარბაზები

7.1 ჩემპიონატის შეჯიბრებების გასამართი დარბაზების მიღება ხდება ჩემპიონატების დაწყებამდე მაქსიმუმ 1 თვით ადრე, სხეფ-ის საშეჯიბრო კომისიის მიერ.
7.2 ჩემპიონატის მატჩების ჩასატარებელი დარბაზები უნდა აკმაყოფილებდეს ევროპის ხელბურთის ფედერაციისა და საერთაშორისო ხელბურთის ფედერაციის შესაბამის სტანდარტებს.
7.3 მატჩების გასამართად სათამაშო დარბაზში უნდა იყოს დამონტაჟებული და გამოყენებისათვის შესაძლებელი შემდეგი აღჭურვილობა:

- ტაიმკიპერის ელექტრონული აპარატურა;
- სათადარიგო საათი;
- მინიმუმ 1 მექანიკური ტაბლო;

7.4 სხეფ-ი უფლებამოსილია საშეჯიბრო კომისიის მეშვეობით, ნებისმიერ დროს ჩემპიონატის დაწყებამდე ან მისი მიმდინარეობისას შეამოწმოს დარბაზების მდგომარეობა, ხოლო დებულების შესაბამის თავთან შეუსაბამობის შემთხვევაში აკრძალოს ჩემპიონატებისა და თასის თამაშების გამართვა ასეთ დარბაზში.
7.5 დარბაზებში სარეკლამო ბანერების განთავსების უფლებას განსაზღვრავს სხეფ.

8 სათამაშო ფორმა და აქსესუარები

8.1 სათამაშო ფორმა
თითოეულ გუნდს მოეთხოვება მინიმუმ ერთი (1) სათამაშო ფორმის ქონა ღია ფერებში და ერთი სათამაშო ფორმის ქონა (2) მუქ ფერებში საქართველოს ჩემპიონატის მატჩებისთვის. ლურჯი და წითელი ითვლება მუქ ფერებად.
ხელბურთის გუნდის ყველა მოედნის მოთამაშეს უნდა ეცვას ერთნაირი ფორმა. ორი გუნდის ფორმების ფერთა კომბინაცია ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს, თანხვედრის შემთხვევაში სტუმარი გუნდი ვალდებულია გამოიცვალოს ფორმები.
მეკარეების სათამაშო ფორმის ფერი უნდა განსხვავდებოდეს მოედანზე მყოფი მოთამაშეების ფერებისგან, როგორც მუქი, ასევე ღია ფერის შემთხვევებში.
მოთამაშეებს უნდა ეწეროთ მკაფიოდ გარჩევადი ნომრები, სადაც ციფრები ზურგზე უნდა იყოს 20 სანტიმერი სიგრძის და მკერდზე 10 სანტიმეტრი სიგრძის. ციფრების ფერი უნდა განსხვავდებოდეს მაისურის ძირითადი ფერისგან. შეიძლება გამოყენება ნომრებისა 1-დან 99-მდე. გუნდის ოფიციალური წარმომადგენლების სამოსი უნდა განსხვავდებოდეს მოწინააღმდეგე გუნდის მაისურის ძირითადი ფერისგან.
მოთამაშეები/გუნდები, რომლებიც ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებენ სათამაშოდ არ დაიშვებიან, ხარვეზ(ებ)ის გამოსწორებამდე.
სათამაშო ფორმის ფერები და ფოტოები (მინიმუმ ერთი (1) ღია ფერის ვარიანტი და ერთი (1) მუქი ფერის ვარიანტი) უნდა იქნეს მიწოდებული საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საშეჯიბრო კომისიისთვის ფედერაციის მიერ დადგენილ ვადაში და დროულად მიეწოდოს მონაწილე წევრ ფედერაციებს.
ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოითხოვს გუნდი/კლუბი ფორმის ფერებთან დაკავშირებით, უნდა განხორციელდეს საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საშეჯიბრო კომისიასთან შეთანხმებით.
თითოეული გუნდის სათამაშო ფორმის (მინიმუმ ერთი (1) ღია ფერის ვარიანტი და ერთი (1) მუქი ფერის ვარიანტი) თითოეულმა დელეგაციამ უნდა წარადგინოს ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე პირველ ტექნიკურ შეხვედრაზე საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის მიერ საბოლოო დასამტკიცებლად.
პირველ ტექნიკურ შეხვედრაზე დამტკიცებული გუნდის სათამაშო ფორმები ერთადერთია, რომელიც არის დაშვებული მთელი საქართველოს ჩემპიონატის განმავლობაში.
თითოეული გუნდი ვალდებულია შეავსოს „სათამაშო ფორმის სპეციალური გრაფა“ ტურის დაწყებამდე მინიმუმ 1 დღით ადრე.
8.2 დამატებითი მოთხოვნები
ნარკოტიკებთან, პორნოგრაფიასთან ან ალკოჰოლურ სასმელებთან დაკავშირებული რეკლამა მკაცრად აკრძალულია მოთამაშეების სათამაშო ფორმაზე.
დაუშვებელია სხვა ქვეყნის ლოგოს ან სიმბოლიკის გამოყენება (პირდაპირი ტრანსლირებიდან გამომდინარე აუცილებელია ამ რეგულაციის დაცვა).

მატჩის დაწყებამდე არსებული ფორმალური პროცედურებისას მთელმა გუნდმა უნდა ატაროს იდენტური სამოსი, რომელიც შეიძლება იყოს სათამაშო ფორმა, ერთნაირი ჟაკეტები ან გასახურებელი ზედები.
გუნდის ოფიციალურმა პირებმა უნდა ატარონ ტანსაცმელი, რომელიც მკაფიოდ განსხვავდება მოწინააღმდეგე გუნდის ფერისგან და განსხვავებული დიზაინის საკუთარი მოთამაშეების ფორმებისგან. გარდა ამისა, გუნდის ოფიციალურმა პირებმა უნდა ატარონ ერთი (1) მსგავსი ფერის და ერთი (1) მსგავსი ფერის ტანსაცმელი;
8.3 ტანისსამოსი
მოთამაშეებს უფლება აქვთ ჩაიცვან თერმო ან კომპრესული სამოსი, როგორიცაა შორტები, გამაშები ან გრძელმკლავიანი მაისურები.
თვალსაჩინოებისთვის გამოიყენება შემდეგი დებულებები:
სათამაშო ფორმის შიგნით ჩასაცმელი მაისური ისეთივე ფერის უნდა იყოს, როგორც სათამაშო ფორმა.
შორტის შიგნით ჩასაცმელი კომპრესორი უნდა იყოს იმავე ფერის, როგორიც შორტი. გამონაკლისია შავი ფერის კომპრესორი, რომელიც შეიძლება მოთამაშეებმა ჩაიცვან დომინანტური ფერის მიუხედავად.
კომპრესორების ან შიგნით ჩასაცმელი მაისურების ფერები ერთნაირი უნდა იყოს ერთი გუნდის ყველა მოთამაშისთვის.
ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება თვალით უხილავ კომპრესორებსა და მაისურებზე. იგივე ეხება მსაჯებს.
8.4 წინდები
ერთი გუნდის ყველა მოთამაშის წინდები უნდა იყოს იდენტური ფერის.
ნებისმიერი აქსესუარი, რომელიც მოთამაშეს აქვს (მაგ., წვივის კომპრესორი, კოჭის დამცავი და ა.შ.) უნდა იყოს იმავე ფერის, როგორც წინდები.
თუ მოთამაშეს შორტის ქვეშ გრძელი თერმო შორტი აცვია, წინდები უნდა იყოს იმავე ფერის, რაც მისი გუნდის სხვა მოთამაშეებს აცვიათ.
8.5 აქსესუარები და საგნები
დაუშვებელია ისეთი საგნების ტარება, რომლებიც შეიძლება საშიში იყოს მოთამაშეებისთვის. ეს მოიცავს, მაგალითად, თავის დამცავს, სახის ნიღბებს, სამაჯურებს, საათებს, ბეჭდებს, თვალსაჩინო პირსინგებს, ყელსაბამებს ან ჯაჭვებს, საყურეებს, სათვალეებს დამჭერის გარეშე ან მყარი ჩარჩოებით ან სხვა საგნები, რომლებიც შეიძლება საშიში იყოს (თამაშის წესები 17:3).
მოთამაშეები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს, ვერ მიიღებენ მონაწილეობას თამაშში, სანამ პრობლემას არ გამოასწორებენ.
ბრტყელი რგოლები, პატარა საყურეები და თვალსაჩინო პირსინგები შეიძლება დაშვებული იყოს, თუ ისინი დაფარულია ლენტით ისე, რომ აღარ წარმოადგენდეს საფრთხეს სხვა მოთამაშეებისთვის. ასევე დაუშვებელია გრძელი ფრჩხილების ქონა.
თავსაბურავი ნებადართულია, თუ ისინი დამზადებულია რბილი, ელასტიური მასალისგან.
8.6 მოთამაშეებს უნდა ეცვათ სპორტული ფეხსაცმელი.
შენიშვნა: საქართველოს ხელბურთის ეროვნულ ფედერაციას აქვს უფლება გამოიყენოს განსხვავებული რეგულაციები ახალგაზრდულ და სასკოლო შეჯიბრებებში.

9 ურთიერთობა მედიასთან

9.1 სხეფ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უზრუნველყოფს მედიის წარმომადგენელთა ინფორმირებას, ტურის ჩატარების შესახებ, მისი დაწყებამდე მინიმუმ ერთი დღით ადრე.

10 დაჯილდოება

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, გამარჯვებულ გუნდს ენიჭება საქართველოს ჩემპიონის წოდება, გადაეცემა ჩემპიონის თასი, პირველი სინჯის მედლები.
საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასულ გუნდს გადაეცემა ვერცხლის სინჯის მედლები.
საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გასულ გუნდს გადაეცემა ბრინჯაოს სინჯის მედლები.
საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დასრულების შემდგომ გამოვლინდება ჩემპიონატის საუკეთესო:

- საუკეთესო მოთამაშე;
- საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე;
- ბომბარდირი;

11 ფინანსური სექცია

11.1 ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა საკუთარი სახსრებით უნდა დაფარონ გუნდის მივლინების ყველა ხარჯები (მგზავრობა, კვება, ცხოვრება).
11.2 ფედერაციის საბანკო რეკვიზიტები:

ორგანიზაციის კოდი – 204885124
საქართველოს ბანკი, ცენტრალური ფილიალი
ანგარიშის # GE39BG0000000339969200
ბანკის კოდი - 220101502

დანართი: 1

XXXVI ეროვნულ ჩემპიონატს მიღმა დარჩენილი გუნდები/კლუბები

1. ეროვნულ ჩემპიონატის მიღმა დარჩენილი გუნდები, აყალიბებენ ჯგუფს, საიდანაც მათ შესაძლებლობლობა ექნებათ 2026-27 წლების სეზონში დაწინაურდნენ ეროვნულ ჩემპიონატში.

2. პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ ჯგუფს შესაძლოა დაემატოს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები.

2.1 ჯგუფში დამატებული ახალგაზრდული ნაკრებები გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ უკონკურსოდ.

2.2 ახალგაზრდულ ნაკრებებში თამაშის საშუალება ექნებათ იმ მოთამაშეებს, რომლებიც ასპარეზობენ 2025/26 წლების ეროვნულ ჩემპიონატში.

3. ჯგუფის თამაშები გაიმართება ერთ (1) წრედ, წრიული სისტემით.

4. პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები მოიპოვებენ 2026-27 წ.წ.-ების ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობის უფლებას.

5. ქულების დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: მოგება - 2 ქულა, ფრე - 1 ქულა, წაგება - 0 ქულა.

5.1 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი გუნდი დააგროვებს თანაბარ ქულას, მათი საბოლოო პოზიციის გადანაწილება ცხრილში მოხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით და ქვემოთჩამოთვლილი თანმიმდევრობით:

- უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრებში ქულების რაოდენობა;
- უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრებში გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა;
- უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრებში მაქსიმალური გატანილი გოლების რაოდენობა;
- ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობა;
- თუ ყველა ეს მაჩვენებელი ერთნაირია, უპირატესობა მიენიჭება კენჭისყრაში გამარჯვებულ გუნდს. კენჭისყრას ატარებს საშეჯიბრო კომისია, რომელსაც უნდა ესწრებოდეს აღნიშნული გუნდების/კლუბების წარმომადგენლები.

6. მოთამაშეთა თამაშებზე დაშვება და ტრანსფერი

6.1 მოთამაშეთა თამაშებზე დაშვებასთან და ტრანსფერებთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდება შემდეგი დებულებებით:

- სხეფ-ის ხელბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის დებულება.
- საქართველოს ჩემპიონატის გათამაშებაში ხელბურთელთა დაშვებისა და სპორტსმენთა ერთი გუნდიდან მეორე გუნდში გადასვლის დებულება.
- განათლების კომპენსაციის დებულება.

შენიშვნა: გამონაკლისის სახით, თუ გუნდი/კლუბი ვერ მოიპოვებს ადგილს უმაღლეს ჩემპიონატში, მის მოთამაშე(ებ)ს ექნებათ საშუალება გადავიდნენ სხვა გუნდში/კლუბში 7 დღის განმავლობაში (ტრანსფერის განაცხადის მიღება).

7. თამაშები გაიმართება სეზონის დაწყებამდე გონივრულ ვადაში.